პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

კვირა, 2 მარტი, 1952 წ. № 53 (9213). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

გორელ კოლმეურნეთა პატრიოტული თაოსნობა—მოწინავე (1-ლი გვერდი).

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ხილისა და ყურძნის უხვი მოსავლისათვის (1-ლი გვერდი).

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის მომწყობ საკავშირო კომიტეტში (1-ლი გვერდი).

ავამაღლოთ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე (მე-2 გვერდი).

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით (მე-2 გვერდი).

მ. გარკუშენკო — პარტიის შესახებ ლენინურ-სტალინური მოძღვრების დიადი ძალა (მე-2 და მე-3 გვერდი).

ა. ფარულავა — ახალი სპორტული მიღწევებისათვის (მე-2 გვერდი).

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — ფიგნი გალაკტიონ ტაბიძეზე [illegible] სახეზე (მე-3 გვერდი).

ი. ზვიადგინი — აგრესორთა შეთქმულება ლისაბონში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გორელ კოლმეურნეთა პატრიოტული თაოსნობა

საკოლმეურნეო სოფელში დიდი შრომითი აღმავლობაა. კოლმეურნეობებში გაჩაღებულია მუშაობა, რათა წელს მოიყვანონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი, უფრო განამტკიცონ და განავითარონ საზოგადოებრივი მეურნეობა.

საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე ახალ წარმატებათა მოპოვების მტკიცე გადაწყვეტილებით არის გამსჭვალული გორის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვა საქართველოს სსრ თბილისის ოლქის კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა. გორის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები წინადადებას იძლევიან მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება ხილისა და ყურძნის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისათვის.

გორის რაიონის ხილი განთქმულია მთელ საბჭოთა კავშირში. კოლმეურნეებს საუკეთესო გამოცდილება აქვთ მოსავლიანობის გადიდების საქმეში. მერეთელი ბრიგადირი ბ. ელიავილი, მერგოლური მ. გორგიშელი, ქვეშელი მერგოლური ს. ცაციაშვილი, ქიწისელი ბრიგადირი შ. ნასყიდაშვილი, მებაღე ვ. ბერიკაშვილი მიჩურინული მეცნიერების გამოყენების და თავიანთი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე ყოველწლიურად ადიდებენ ხილის მოსავლიანობას. ხილის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანაზე გორში ნაყოფიერად მუშაობენ კოლმეურნე სელექციონერი ვ. ბესტავაშვილი და სელექციონერი ე. ერისთავი.

გორის რაიონში მშვენივრად ხარობს სუფრისა და შამპანური ვაზის ჯიშები, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი მოსავლით და ღვინის კარგი ხარისხით. რაიონის კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს მთლიანად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობა და მიაღწიონ მევენახეობის შემდგომ აღმავლობას.

გორელმა სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს — საკოლმეურნეო ბაღების 1.160 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ სულ მცირე 50 ცენტნერი ხილი, აღადგინონ 106 ჰექტარი ხეხილის ბაღები, სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის გამორგონ 12.000 ძირი ხეხილი, გაახარონ დარგული ხეხილის სულ მცირე 96 პროცენტი; კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე დარგონ 8.000 ძირი ხეხილი, ბაღებში ნიადაგის სტრუქტურიანობისა და ნაყოფიერების აღდგენის მიზნით მრავალწლიანი ბალახების ნარევი დათესონ 465 ჰექტარზე, გამოიყვანონ და კოლმეურნეებს გადასცენ სუფრისა და საკონსერვო ატმის ახალი ჯიშების 20.000 ძირი ნერგი. მევენახეობაში იკისრეს გეგმით გათვალისწინებულ საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე გადააჭარბონ 15 პროცენტით, განახორციელონ მოსავლიანობის გადიდების ისეთი აგროტექნიკური ღონისძიება, როგორიც არის ვაზის გადაყვანა მაღალი დატვირთვის ფორმებზე, საუკეთესოდ მოაწყონ ვაზის მწვანე ოპერაციები, მყნობა და სხვ.

გასაკეთებელი ბაღებსა და ვენახებში წელს ბევრია. გაზაფხული დადგა. ამოცანა ის არის, რომ მოკლე ვადებში ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები და მით უზრუნველყოთ ხილისა და ყურძნის მოსავლიანობის მნიშვნელოვნად ამაღლება.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა დავაჩქაროთ ხეხილის ბაღებში მრავალწლიანი ბალახების ნარევის თესვა, რასაც ბელს უწყობს თბილი ამინდის დადგომა. მეხილეობის რაიონების მუშაკები ვალდებული არიან დროულად გაიტანონ სახელმწიფო სანერგეებიდან ნერგები, რომ მთლიანად შეასრულონ ხეხილის ბაღების აღდგენის გეგმა და აღმოფხვრან სიმეჩხრე. სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს ორგანული სასუქების ბაღებში საკმაო რაოდენობით შეტანის საქმეში.

მეხილეების უპირველესი მოვალეობაა აგროტექნიკისა და უხვი მოსავლის ოსტატთა შესანიშნავი გამოცდილების გამოყენების საფუძველზე მიაღწიონ მეწლეობის მოსპობას მეხილეობაში და გადაჭრით გააძლიერონ ხეხილის მოვლა.

დიდი ამოცანებია დასახული მევენახეების წინაშე. 1955 წლისათვის ვენახების ფართობი უნდა ავიყვანოთ 60.000 ჰექტარამდე, ნაცვლად 1949 წლის 52.000 ჰექტარისა. ეს აძლიერებს მევენახეობის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების პასუხისმგებლობას სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებისადმი. მევენახეების მოვალეობაა განავითარონ ვაზის მხოლოდ გარკვეული უძვირფასესი სამრეწველო ჯიშები, ზომები მიიღონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახების შპალერზე გადასაყვანად, რაც შესამჩნევად ადიდებს მოსავლიანობას. მალე ვაზის მყნობა დაიწყება. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰყავთ საუკეთესო მყნობელები. სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის ორგანოები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს მოწინავე მყნობელთა გამოცდილების ფართოდ გამოყენების საქმეში, ამასთანავე მოვამზადოთ მყნობელთა ახალი კადრი.

გორელთა მოწოდებაში ნათქვამია: „განუხრელად განვახორციელებთ საკოლმეურნეო სტალინურ წესდებას... კიდევ უფრო განვამტკიცებთ საზოგადოებრივ მეურნეობას, თვალისჩინივით მოვუვლით და დავიცავთ საკოლმეურნეო საზოგადოებრივ საკუთრებას, გავაჩაღებთ სასტიკ ბრძოლას სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ...

მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ხილი, ყურძენი.

ვიყოთ იმ მზრუნველობის ღირსი, რომელსაც მეხილეობისა და მევენახეობის აღმავლობისადმი იჩენენ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და დიდი სტალინი“.

გორის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვას აქტიურად ეხმაურებიან კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოები მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების საქმეს. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ორგანიზებულად მოეწყოს გორელ კოლმეურნეთა წერილის საქმიანი განხილვა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა საერთო კრებებზე და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი. სოციალისტური შეჯიბრება წარმართულ უნდა იქნას მეხილეობისა და მევენახეობის განვითარების მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, კოლმეურნეობებსა, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსავლიანობის გადიდების ყველა რეზერვის სრულად გამოყენებისათვის, ხილის ბაღებსა და ვენახის სამუშაოებში მექანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის.

საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კოლმეურნემ, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეხილეობისა და მევენახეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებისათვის.

ვოლგა-დონის მშენებელთა ახალი გამარჯვება

დონის კალაჩი, 29 თებერვალი. (საკადესი). ვოლგა-დონის არხის მშენებლებმა დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს. დღეს ამუშავდა კარპოვკის სატუმბავი სადგურის მეორე აგრეგატი.

14 საათსა და 45 წუთზე გაიცა ბრძანება — აეწიათ ლიფნონის ფარები. შემწოვი მილი წყლით აივსო. ჩაურთეს მოტორი. ტუმბოს უზარმაზარმა ლილვმა წამსვე განავითარა სისწრაფე—250 ბრუნი წუთში. გაისმა წყლის ყრუ, მზარდი ხმაური და მეორე სატუმბავით კოშკიდან გადმოეშვა ჩანჩქერი. ამჟამად სადგურის ორივე მოქმედი ტუმბო კარპოვკის წყალსაცავში ტუმბავს ორ მილიონზე მეტ კუბურ მეტრ წყალს დღეღამეში.

მეორე ტუმბოს ამუშავება უზრუნველყოფს კარპოვკის წყალსაცავისა და მთელი ვოლგა-დონის სანაოსნო არხის დროზე ავსებას წყლით. როგორც ცნობილია, მთელი არხი წყალს მიიღებს მდინარე დონიდან. სატუმბავი სადგურების, წყალსაცავებისა და რაბების სისტემით წყალი დონიდან არხით გადავა ვოლგაში. პირველმა ტუმბომ, რომელიც ერთი თვის წინათ ამუშავდა, კარპოვკის წყალსაცავში უკვე გადატუმბა მრავალი მილიონი კუბური მეტრი წყალი.

უახლოეს დროში უნდა ამუშავდეს მარინოვკის სატუმბავი სადგური. იგი კარპოვკის წყალსაცავიდან მიღებულ წყალს ასწევს კიდევ 22 მეტრზე და გადატუმბავს შემდეგ წყალსაცავში — ბერესლავკის წყალსაცავში.

ჩვენს რესპუბლიკაში

★

საკონსერვო ნაწარმი მეორე კვარტალის ანგარიშში

გორი. (საკ. კორ.). საბჭოთა არმიის 34-ე წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 31-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია გორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა. გორელი მეკონსერვეების სოციალისტური ვალდებულება ითვალისწინებდა პირველი კვარტალის გეგმის 25 თებერვლისათვის შესრულებას. შეჯიბრების ფართოდ გაშლითა და ადგილობრივი რესურსების გამოყენებით ქარხნის კოლექტივმა კვარტალური გეგმა 21 თებერვლისათვის 107,6 პროცენტით შეასრულა.

მაღალნაყოფიერი შრომით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მ. უანჩაველის, ე. მეჩითოვის და ა. კარავიოვას ბრიგადებმა, აგრეთვე სტახანოველებმა მ. ბარიშვილმა, მ. შატაკიშვილმა, ე. მახარობლიძემ და გ. მეჩიტაშვილმა.

ამჟამად გორელი მეკონსერვეები მეორე კვარტალის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას.

ჯყავის გაღამჭიმავი მანქანა

გათუმი. (საკ. კორ.). კიროვის სახელობის ტყავის ქარხანაში არსებული დაბალი წარმადობის მქონე მანქანა ვერ უზრუნველყოფდა ნახევარფაბრიკატების საკმაო რაოდენობით დამზადებას, რის გამო ამ სამუშაოს ნაწილი ხელით სრულდებოდა.

ამ დღეებში ქარხანაში დადგეს ტყავის გადამჭიმავი ახალი მანქანა, რომელიც მაღალნაყოფიერად მუშაობს. აღნიშნული მანქანა დიდი წარმადობისაა და მთლიანად უზრუნველყოფს ქარხნის მოთხოვნილებას ნახევარფაბრიკატით. ცვლაში მანქანა 1.000-მდე ტყავს ამუშავებს. ახალი მანქანის ამუშავების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ნახევარფაბრიკატის ხარისხი და შემცირდა დანაკარგები.

სამრეწველო კომბინატის წარმატება

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონის სამრეწველო კომბინატის კოლექტივმა 22 თებერვლისათვის მიმდინარე წლის ორი თვის გეგმა 100,5 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია აგური, კირი, ქსოვილი, საფურგლო წებო და სხვა პროდუქცია.

აჭარაში ობილი მზიანი ამინდი დადგა. ჩაიხა და ციტრუსების პლანტაციებში დაიწყო საგაზაფხულო სამუშაოები. სურათზე: ჩაის ბუჩქების გასხვლა ბათუმის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის მე-8 ბრიგადის ნაკვეთზე. წინა პლანზე — მერგოლური კომკავშირელი გულნაზი ხალვაში.

მეჩაიეთა შეჯიბრება

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის რაიონის სოფლებში მეორე წელია მიმდინარეობს ახალი კულტურის — ჩაის გაშენება. ჩაის გაშენება ყველაზე ადრე დაიწყო სოფელ ეწერის კ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. სარალიძე). აქ წინასწარმა ცდებმა კარგი შედეგები გამოიღო. ამჟამად კოლმეურნეობას ჩაი გაშენებული აქვს 23 ჰექტარზე. ორწლიან პლანტაციას მიწა თითქმის დაუფარავს და მნახველს ახარებს. წელს კიდევ ათი ჰექტარი უნდა გაშენდეს, ხოლო 1957 წლისათვის კოლმეურნეობას ჩაი ას ჰექტარზე ექნება.

ამჟამად კოლმეურნეები ენერგიულად მუშაობენ მინდვრად. ისინი ამზადებენ ნიადაგს, აშენებენ ჩაის. მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების რემონტი და სასუქების შეტანა. კოლმეურნეები მზრუნველობას არ აკლებენ ახალ კულტურას. შრომაში ერთმანეთს ეჯიბრებიან მეჩაიეთა ბრიგადები დ. კუპატაძისა და ვ. სარალიძის ხელმძღვანელობით. ჩაის ბუჩქებს თავს დასტრიალებენ რგოლის ხელმძღვანელები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. სარალიძე, ლიუდმილა გოქსაძე და თინა ქოჩერაშვილი. მათ გასულ წელს 200-250 შრომადღე გამოიმუშავეს და თავდადებულად შრომობენ წელსაც.

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ხილისა და ყურძნის უხვი მოსავლისათვის

ბრეთელ და ვარიანელ მეხილეთა შეჯიბრება

ქარელი. (საკ. კორ). ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები. მეურნეობის მუშებსა და სპეციალისტებს გორის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვა კრებაზე გააცნო დირექტორმა ამხ. მ. გალაშვილმა.

ბრეთელმა მეხილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს გორელთა მოწოდება და იკისრეს წელს 300 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 60 ცენტნერი ხილი, ხოლო 257 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 80 ცენტნერი.

მეორე აგროუბნის ხელმძღვანელმა ქ. ნამგალაძემ პირობა დადო 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 100 ცენტნერი ხილი.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით ბრეთელმა მეხილეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ვარიანის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშები და სპეციალისტები.

იბრძვიან მოსავლიანობის გაღიდებისათვის

კასპი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა გორელ კოლმეურნეთა მიმართვამ. კოლმეურნეები ეცნობიან მოწოდებას და კონკრეტულ ღონისძიებებს სახავენ. სოფელ მეტეხის კოლმეურნეობის ბრიგადირმა მ. აზმაიფარაშვილმა იკისრა 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 55 ცენტნერი ხილი, ხოლო მერგოლურ თამარ გეჯაძის ვალდებულებაა სამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 60 ცენტნერი ხილი.

მეტეხის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ შამპანური ჯიშის 59 ცენტნერი ყურძენი.

მევენახეთა ვალდებულებები

თელავი. (საკ. კორ.). სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეს“ ორას ჰექტარამდე ვენახი აქვს. შარმან ჰექტარზე საშუალოდ 63 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს, ზოგიერთ ნაკვეთზე კი — 100-120 ცენტნერი. მოწინავეთა მიმართვის გაცნობისას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ს. პაატაშვილმა თქვა:

—ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად უხვად გვაქვს ვენახების დასამუშავებელი იარაღ-მანქანები, მინერალური სასუქები და სხვ. წელს ვენახებში 150 ტონა მინერალური და 250 ტონა ორგანული სასუქი შევიტანეთ, ვაზის სხვასაც მალე დავამთავრებთ, მეჩხერ ნაკვეთებს გამოვრგავთ. კოლმეურნეობამ იკისრა საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 70 ცენტნერი ყურძენი, 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე კი — 110 ცენტნერი.

სოფელ ვანთის კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ 90 ცენტნერი ყურძნის მიღება იკისრა და სოციალისტურ შეჯიბრებაში აკურის კოლმეურნეობა „მოწინავე“ გამოიწვია.

კურდღელაურის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ვ. მესტვირიშვილმა თქვა:

—თვითეულ ვაზს ინდივიდუალურად ვუდგებით, ვტვირთავთ 20-25 კვირტით, სადაც საჭიროა, სასუქები გადიდებული დოზით შეგვაქვს. ჰექტარზე საშუალოდ მოვიყვანთ 25 ცენტნერით მეტ ყურძენს, ვიდრე გასულ წელს. მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის“ მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ივ. ძამუკაშვილი.

გორელთა მოწოდება ერთსულოვნად მოიწონეს წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ამხ. ი. ჩარკვიანი). ბრიგადირებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა ი. გაგნიძემ, ბ. ბატიაშვილმა, რ. სავანელმა იკისრეს ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 20 ცენტნერით მეტი ყურძენი, ვიდრე შარშან.

ახალი შრომითი აღმავლობა

ახალციხე. (საკ. კორ.). ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ხილის უხვი მოსავლის მოყვანისათვის. სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ი. გოზალიშვილმა მიმართვის გაცნობისას თქვა:

— ბრიგადამ, რომელსაც ვხელმძღვანელობ, შარშან ჰექტარზე საშუალოდ 166 ცენტნერი ხილი მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ცენტნერისა. ბრიგადის სახელით ვალდებულებას ვკისრულობ ვიმუშაოთ პატიოსნად, ენერგიის დაუზოგავად და 15 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 170 ცენტნერი, ხოლო 17 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 120 ცენტნერი ხილი.

სოფელ ურავლეში 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში მეხილეობის ბრიგადას ხელმძღვანელობს გამოცდილი მებაღე ს. მოდებაძე. მან მიმართვის პასუხად იკისრა 26 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 125 ცენტნერი ხილი. მერგოლურმა ე. კაპანაძემ პირობა დადო, რომ რგოლისათვის მოსავლელად მიჩენილი 10 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანენ 135 ცენტნერ ხილს.

ქვემო სხვილისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს 25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერის ნაცვლად მიიღონ 110 ცენტნერი ხილი.

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის მომწყობ საკავშირო კომიტეტში

29 თებერვალს ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით გაიმართა ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის მომწყობი საკავშირო კომიტეტის სხდომა. განხილულ იქნა ამ თარიღთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

დიდი რუსი მწერლის ხსოვნას პატივს სცემს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხი. ყველგან—დედაქალაქებში, ქალაქებში, კულტურის სასახლეებში, მუშათა და სოფლის კლუბებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში იმართება ლიტერატურული საღამოები, იკითხება მოხსენებები ნ. ვ. გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მილიონიანი ტირაჟებით გამოდის მის უკვდავ ქმნილებათა ახალი გამოცემები. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა და მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა უშვებენ ნ. ვ. გოგოლის თხზულებათა კრებულებს.

ლექციებს დიდი რუსი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ კითხულობენ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების წევრები.

ჩვენი ქვეყნის 150-ზე მეტი დრამატული და მუსიკალური თეატრი მუშაობს სიტყვის გენიალური ოსტატის ნაწარმოებთა სიუჟეტების მიხედვით დაწერილი პიესების ახალ დადგმებზე. მომზადებულია მულტიპლიკაციური კინოფილმი „შობის წინა ღამე“ და დოკუმენტალური კინოსურათი „გოგოლი“.

სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში გაიხსნება გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. აქ წარმოდგენილ იქნება მისი წიგნების მრავალი გამოცემა სხვადასხვა ენაზე, ილუსტრაციები, პორტრეტები, გრავიურები, ნახატები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში იმართება სამეცნიერო სესიები, რომლებიც აშუქებენ დიდი მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემას, მის როლს მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში, რუსული სალიტერატურო ენის შექმნაში.

4 მარტს — მისი გარდაცვალების მეასე წლისთავის დღეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში გაიმართება მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები.

ფართოდ აღინიშნავენ ამ თარიღს ჩინეთსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში — ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთსა და ალბანეთში. (საკადესი).

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო

3 მარტს რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში გაიმართება დიდი რუსი მწერლის ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის მომწყობი რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი, სტალინური პრემიის ლაურეატი გ. ლეონიძე. ნ. ვ. გოგოლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ს. ჭილაია.

მხატვრულ ნაწილში ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის ორკესტრი შეასრულებს პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ჩერევიჩკის“ უვერტიურას. წარმოდგენილი იქნება სცენები ა. ს. გრიბოედოვისა და კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრების მიერ დადგმული „რევიზორიდან“.

ნ. ვ. გოგოლის და გოგოლისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს წაიკითხავენ პოეტები და მსახიობები: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, პოეტი ა. აბაშელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები: პ. კობახიძე, მ. პიასეცკი, ნ. ბელაქნელი, თ. ჭავჭავაძე, ნ. ხარაძე, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები: ლ. გიორგაძე, მ. პოპოვი, საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. ეპიტაშვილი, ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობი ნ. ბურმისტროვა, სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობი ნ. ზედგინიძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

პარტიული ცხოვრება

ავამაღლოთ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე

საგარეჯოს XIV რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში შედგა, საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. შ. ნუცუბიძემ.

საანგარიშო პერიოდში, როგორც მომხსენებელმა განაცხადა, გაიზარდნენ და განმტკიცდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, ახლა ისინი უმეტესად აწყობენ სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლს, წარმატებით რაზმავენ მშრომელებს კოლმეურნეობებისა და საწარმოების წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის საბრძოლველად. როგორც ცნობილია, გასული წლის ივნისში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა პარტიის საგარეჯოს რაიკომის მუშაობის საკითხი. ბიუროს მიერ მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდნენ ხორბლის მოსავლიანობის გადიდებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეს. კოლმეურნეობები წლების მანძილზე ვერ ასრულებდნენ მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმებს. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს ბრძოლა ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის, რამაც სათანადო შედეგიც გამოიღო. რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს 1951 წლის მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარების დავალება. სახელმწიფოს ჩაბარდა 420 ტონით მეტი ხორბალი, ვიდრე 1950 წელს. რაიონის კოლმეურნეობებმა 1951 წლის შემოდგომაზე 5.565 ჰექტარით მეტი ფართობი დათესეს, ვიდრე 1950 წელს. ბევრ კოლმეურნეობაში შესამჩნევად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, ამაღლდა შრომადღიერებულება. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შედეგად მარტო შარშან კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პირებისაგან მიტაცებული 210 ჰექტარი საზოგადოებრივი მიწა. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა რაიონული ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის.

თავისი მოხსენების დიდი ნაწილი ამხ. ნუცუბიძემ დაუთმო რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკას.

— რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები, — თქვა მან, — ვერ ასრულებენ ხორბლისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გეგმებს. კოლმეურნეობათა ჩამორჩენას იწვევს შრომის მოუწესრიგებლობა, დისციპლინის სისუსტე, პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დაბალი დონე, აგრეთვე ისიც, რომ კოლმეურნეობებში სრულად არ ხორციელდება აგროტექნიკური ღონისძიებანი.

ილაპარაკა რა მტს-ების მუშაობაზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, მართალია, მათ შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა 1951 წლის გეგმები რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, მაგრამ სუსტად იბრძვიან ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებისათვის. მტს-ები ქმედითად არ ეხმარებიან კოლმეურნეობებს შრომის მოწესრიგებაში. ზოგიერთ შემთხვევაში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა შესრულებას. მტს-ების მუშაკთა შორის სათანადო სიმაღლეზე არა დგას პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა, არის მექანიზატორთა მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, მოუწესრიგებელია მათი საყოფაცხოვრებო პირობები. ჩამორჩენაა მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების შესრულებაში. არც ერთ კოლმეურნეობას არ შეუსრულებია წველადობის გეგმა. მეცხოველეობის ფერმებში მაღალია დედა-პირუტყვის ბერწიანობის პროცენტი. დაბალია ნამატის შენარჩუნების მაჩვენებლები.

საანგარიშო პერიოდში რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს პარტიული განათლებისადმი ხელმძღვანელობა. მიუხედავად ამისა, პარტიული განათლების საქმეში არის ნაკლოვანებებიც. ზოგჯერ წრეებსა და პოლიტსკოლებში იშლება მეცადინეობა, დაბალია მეცადინეობის იდეური დონე, არის ფორმალიზმი მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის საქმეში.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 20 კაცმა. მოკამათეთა უმრავლესობამ მკაცრად გააკრიტიკა პარტიული და სამეურნეო მუშაობის ნაკლოვანებანი.

კონფერენციამ მიიღო სათანადო რეზოლუცია, აირჩია რაიკომისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და თბილისის საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

შედგა რაიკომის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. შ. ნუცუბიძე, მეორე მდივნად — ამხ. ო. ნემსაძე, მდივნად — ამხ. შ. გრიგოლაშვილი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. გიგოშვილმა.



ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲫᲐᲠᲨᲐᲜᲐ. მთავარი კონვეიერის საამქროს ამწყობა-ზეინკლები ე. ჯაბია და ბ. ვაშაკიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დგანან და ნაკისრ ვალდებულებებს 250-260 პროცენტით ასრულებენ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲐᲜ: (წინა პლანზე) ამწყობი-ზეინკლები ე. ჯაბია და ბ. ვაშაკიძე.

ფოტო ა. საკუნისა

ხაღთა სტაღინური მეგობრობის დროშით

წერილები უკრაინელი მაღაროელებისაგან

ᲟᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). დიდი აღმავლობით გრძელდება ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ჭიათურელ და ნიკოპოელ მაღაროელებს შორის. ჩვენი I სამშობლოს მარგანეცის ამ ორი აუზის მაღაროელები ერთმანეთს ეცილებიან პირველობისათვის ბრძოლაში. ისინი მეგობრულ წერილებს უგზავნიან და გაცოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს.

ამას წინათ ჭიათურაში მოვიდა ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინრის წერილი „ქალაქ მარგანეცის ინტელიგენცია". მასში მოთხრობილია ქ. მარგანეცის ინჟინრების, ექიმების, მასწავლებლებისა და სხვათა ცხოვრებაზე, მათ შემოქმედებითს წინსვლაზე. ავტორი განსაკუთრებით დაწვრილებით აღწერს ტექნიკური ინტელიგენციის ნაყოფიერ შრომას. ნიკოპოლელ ამხანაგებს ცვლილებები შეაქვთ ტექნოლოგიურ პროცესებში, ენერგიულად იბრძვიან ტექნიკური პროგრესისათვის, მეტი მარგანეცისათვის.

ამ დღეებში ნიკოპოლიდან კვლავ მოვიდა წერილი. მომძე უკრაინელი მაღაროელები იწერებიან, თუ რა წარმატებებს აღწევენ მიმდინარე სამეურნეო წელს. ნიკოპოლელი და ჭიათურელი მაღაროელები წელსაც ნაყოფიერად მუშაობენ. ნიკოპოლის მარგანეცის ტრესტმა სასაქონლო პროდუქციის დამზადების იანვრის გეგმა 101,9 პროცენტით შეასრულა, ხოლო ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა — 102,8 პროცენტით.

ჭიათურელი მაღაროელები საპასუხო წერილებს უგზავნიან უკრაინელ მეგობრებს.

ზესტაფონელ და ზაპოროჟიელ მეტალურგთა სოციალისტური შეჯიბრება

ზაპოროჟიელ მეტალურგებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გასაფორმებლად ამ დღეებში ზესტაფონელ მეტალურგთა დელეგაცია ზაპოროჟიეს გაემგზავრა. ამასთან დაკავშირებით „პრავდაში" გამოქვეყნებულია კორესპონდენცია, რომელშიც ნათქვამია:

ზესტაფონისა და ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნები საბჭოთა მეტალურგიის მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგნენ პირველი სტალინური ხუთწლედის წლებში. ამავე წლებში დამკვიდრდა შემოქმედებითი მეგობრობა ზესტაფონისა და ზაპოროჟიეს მეტალურგთა შორის. მათ სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღეს მუშაობაში სანიმუშო მაჩვენებლების მოსაპოვებისათვის. ეს მეგობრობა წლითიწლობით მტკიცდება. ურთიერთშეჯიბრებაში ჩაბმული კოლექტივები ამხანაგურ დახმარებას უწევენ ერთმანეთს. ერთ-ერთი ახალი საწარმოო მეთოდის დამუშავებაში ზაპოროჟიეს ქარხნის ინჟინრებსა და სტახანოველებს დახმარება გაუწია ზესტაფონის ქარხნის ქიმიურმა ლაბორატორიამ. მალე ამის შემდეგ ზაპოროჟიელმა ნოვატორებმა თავიანთი მუშაობის მეთოდი გააცნეს ზესტაფონელ მეტალურგებს.

მიმდინარე წლის დასაწყისში ზესტაფონიდან ზაპოროჟიეში წერილი მიიღეს. ზესტაფონელი მეტალურგები წინადადებას იძლეოდნენ 1952 წელსაც განეგრძოთ ქარხნებს შორის სოციალისტური შეჯიბრება. ამ დღეებში ზაპოროჟიეში ჩამოვიდა ზესტაფონელ მეტალურგთა დელეგაცია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ხელი მოეწერა ახალი სოციალისტური ხელშეკრულებისათვის.

ორივე ქარხნის კოლექტივებმა იკისრეს იბრძოლონ ყველა მარკის ფეროშენადნობის გამოშვების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, ლითონის მაღალი ხარისხისათვის, მასალების, ნედლეულისა და ელექტროენერგიის ეკონომიისათვის.

ახალი სპორტული მიღწევებისათვის

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში იხსნება სასპორტო სეზონი. ისევე როგორც შარშან, საქართველოს ფიზკულტურელები წელსაც ადრე იწყებენ ზაფხულის სასპორტო სეზონს, მაქსიმალურად იყენებენ ამინდის ხელსაყრელ პირობებს.

ფიზკულტურულ მოძრაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა, ჯანსაღი, ფიზიკურად და მორალურად ყოველმხრივ გამოწრთობილი ადამიანების აღზრდა ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობის მთავარი ამოცანაა. ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი ის მტკიცე საფუძველია, რომელზეც აგებულია მთელი ჩვენი ფიზკულტურული მუშაობა. ამიტომ ყოველი საშუალება უნდა ვიხმაროთ, რათა ხელი შევუწყოთ ძირეული კოლექტივების ზრდას, მათს გაძლიერებას.

საქართველოს მოწინავე სპორტსმენებმა შარშან ახალი მიღწევები მოიპოვეს, მრავალი შესწორება შეიტანეს რესპუბლიკური და საკავშირო რეკორდების ცხრილში. ბევრი სპორტსმენი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. წარმატებით დაიცვეს ჩვენი ქვეყნის სპორტული დირსება თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა პოლონეთის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უძლიერეს გუნდებთან შეხვედრებში. ქართველმა ფაბრიკანტებმა გამარჯვებით დაამთავრეს შეხვედრები ფინეთის საუკეთესო მოჭიდაველებთან. წინა წლებთან შედარებით უკეთესი შედეგები მოიპოვეს ტანმოვარჯიშეებმა, მოჭიდაველებმა, ჩოგბურთელებმა.

მაგრამ მოპოვებული მიღწევები საკმარისი არ არის. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მძლეოსნობის განვითარებას, ვინაიდან ნ. დუმბაძის, ე. გოკიელის, ნ. ხნკინას და ლ. სანაძის გარდა ჩვენ ჯერ არა გვყავს მაღალი კლასის მძლეოსნები. საქართველოს მეტწილ რაიონებში სპორტის ამ სახეს ფორმალურად ეკიდებიან, რეგულარულად არ მუშაობენ სექციები, არ იყენებენ ამინდის ხელსაყრელ პირობებს ცისქვეშ ვარჯიშისათვის. დაბალ დონეზე დგას ავრეთვე ცურვა და წყალში ხტომა. ამ დარგში გაცილებით მეტი მოეთხოვებათ ზღვისპირა რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. დაბალი შედეგებით გამოდიან საკავშირო შეჯიბრებებზე მოტომბრბიელები და ველოსიპედისტები. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია რესპუბლიკის მოკრივეთა მაჩვენებლები. უკეთ უნდა გამოვიყენოთ ბაკურიანის შესანიშნავი პირობები სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის. აქაურ ახალგაზრდებთან გეგმიანი მუშაობის შედეგად შეიძლება აღვზარდოთ ძლიერი მთიხილამურეები.

მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებებისა, კვლავ ჩამორჩება საჭადრაკო სპორტი. დიდი ხანია, რაც საკავშირო შეჯიბრებებში კარგი შედეგით არ გამოსულა ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკე, უფრო მეტიც — არ მოუღია ოსტატობის წოდება. ასეთი ჩამორჩენა არავითარ შემთხვევაში არ ეპატიებათ ჩვენს მოჭადრაკეებს.

მაღალი სპორტული შედეგების მოპოვებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის სწორად წარმართვას. უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ძირითადი სპორტული-საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სტუდენტებში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა მაღალ დონეზე იდგეს, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით წარმოებდეს.

სასპორტო სექციების შეუფერხებელი მეცადინეობის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტულ ბაზებს. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში გარკვეული წარმატება გვაქვს. ბოლო წლებში აშენდა მრავალი სტადიონი, ჰიპოდრომი, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედანი, საცურაო აუზი, მრავალრიცხოვანი მარტივი ტაბის სასპორტო მოედანი სოფლის ფიზკულტურელთათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ფიზკულტურელები სათანადოდ არ იყენებენ ამ ბაზებს. ხშირად მოძმე რესპუბლიკებიდან საკავშირო ჩამოსული სპორტსმენები ვარჯიშობენ გარეთ, ცისქვეშ, მაშინ, როცა ჩვენი სპორტსმენები მეცადინეობას განაგრძობენ დარბაზებში.

ჯანსაღ, სიცოცხლით სავსე კოლმეურნე ახალგაზრდობაში ბევრი გამოიძებნება კარგი სპორტული მონაცემებით დაჯილდოებული ადამიანი. ამ მხრივ გადამწყვეტი როლი ეკისრება ნებაყოფლობითს სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნეს". იგი მოწოდებულია თავის რიგებში აღზარდოს მოწინავე სპორტსმენთა შემცვლელი თაობა. მიუხედავად იმისა, რომ „კოლმეურნის" რესპუბლიკურმა საბჭომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი: მოაწყო რესპუბლიკური სპარტაკიადა და შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეებში, მან ჯერ კიდევ ვერ შეძლო სოფლის ახალგაზრდობაში სპორტული მუშაობის სათანადოდ გაშლა. აქვე უნდა ითქვას, რომ სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნეს" სათანადო დახმარებას არ უწევენ ფიზკულტურის რაიონული კომიტეტები და სასპორტო საზოგადოებათა საბჭოები.

საქართველოში უძველესი დროიდან ვე ცნობილია სპორტის მრავალი ხალხური ეროვნული სახე. ქართველ ხალხს მუდამ უყვარდა ფიზიკური კულტურა და სპორტი; ხშირად იმართებოდა შეჯიბრებანი, ასპარეზობანი. ახლა სპორტის ბევრი ეროვნული სახე ჩამოყალიბებულია ზუსტ წესებში, ეწყობა ოფიციალური შეჯიბრებები, გვყავს შესანიშნავი სპორტსმენები. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრგან მიიტოვეს სპორტის ეროვნული სახეები — ქართული ჭიდაობა, ლელო, ცხენოსნობა.

ფიზკულტურის კომიტეტებმა და სპორტულმა საზოგადოებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სპორტის ეროვნული სახეების განვითარებას და უმოკლეს ხანში აღმოფხვრან ჩამორჩენა ამ დარგში.

1952 წელს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე სერიოზული ამოცანები დგას. უპირველეს ყოვლისა, უნდა ყოველი ღონე ვიხმაროთ მიღწეული წარმატებების შენარჩუნებისათვის. საჭიროა განვამტკიცოთ მოპოვებული შედეგები და ვიბრძოლოთ ახალი, უფრო მაღალი მაჩვენებლებისათვის.

Ა. ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲕᲐ,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე

პარტიის შესახებ ლენინურ-სტალინური მოძღვრების დიადი ძალა

(ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲬᲔᲚᲘ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ Კ. პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1937 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚ-ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ)

★

ბოლშევიზმის დიდი ფუძემდებლები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ბოლშევიკურ პარტიას აშენებდნენ და ზრდიდნენ, როგორც მებრძოლ რევოლუციურ პარტიას. მათ შეაიარაღეს იგი ყველაზე მოწინავე თეორიით, პროგრამითა და ტაქტიკით, გამოაწრთეს მუშათა კლასის მტრებთან სასტიკ ბრძოლებში და მიიყვანეს მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებამდე.

ლენინის უკვდავი საქმის დიდმა განმგრძობმა — ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ განავითარა ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ, წინ წასწია ბოლშევიზმის ორგანიზაციული მეცნიერება, დარაზმა პარტია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ისტორიული ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკურმა პარტიამ გაანადგურა საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტრები — ტროცკისტ-ბუხარინელი გამცემლები, რომლებიც უცხოეთის დაზვერვათა აგენტურა, ჯაშუშთა, მკვლელთა და მავნებელთა ბანდა გახდნენ. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტია კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმული და მონოლითური გახდა, რის მეოხებით იგი წარმატებით ასრულებს თავის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს საბჭოთა ხალხის ბრძოლაში კომუნიზმისათვის.

პარტიის შესახებ ლენინური მოძღვრების შემდგომ განვითარებაში, პარტიის ბრძოლაში თავისი რიგების შემდგომი განმტკიცებისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის მოხსენებას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე „პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე".

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე ამხანაგ სტალინის მოხსენება და საბოლოო სიტყვა ეკუთვნიან ბოლშევიკური აზრის გენიალურ ქმნილებათა რიცხვს, წარმოადგენენ შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში შეტანილ უძვირფასეს წვლილს.

თავის მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა შეაჯამა ტროცკისტ და სხვა თვალთმაქცთა დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგი, მთელი მსოფლიოს წინაშე ამხილა ისინი როგორც დივერსანტთა, ჯაშუშთა და მკვლელთა უიდეო ბანდა, როგორც იმპერიალისტურ დაზვერვათა საზიზღარი დაქირავებული აგენტები, როგორც ყველა ქვეყნის მშრომელთა დაუძინებელი მტრები.

ამხანაგმა სტალინმა მოხსენებაში ბოლშევიკური პირდაპირობით აღნიშნა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში იყო, წამოაყენა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი კადრების იდეურ-თეორიული დონის ამაღლების ამოცანა.

ამხანაგ სტალინის შრომა წარმოადგენს პარტიის მძლავრ იდეურ იარაღს, რომლის დახმარებითაც დამთავრებულ იქნა ტროცკიზმის სრული განადგურება, მისი მხილება და იზოლაცია საერთაშორისო ასპარეზზე.

ამხანაგ სტალინის მოხსენებას და საბოლოო სიტყვას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ. ისინი აიარაღებდნენ და ახლაც აიარაღებენ კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის ყველა მებრძოლთ მათს ბრძოლაში საკუთარი ბურჟუაზიის წინაალმდეგ, ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების წინაალმდეგ.

ამხანაგ სტალინის გენიალური შრომა აოფრთოვანებს საბჭოთა ხალხს ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის, ასწავლის მშრომელთ ბოლშევიკურ სიფხიზლეს კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

I

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი საბჭოთა ქვეყნის მძლავრი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის ვითარებაში შეიკრიბა. 1937 წლის 1 აპრილისათვის (4 წელიწადსა და 3 თვეში) მრეწველობამ წარმატებით შეასრულა მეორე ხუთწლიანი გეგმა. ეს სოციალიზმის უდიდესი გამარჯვება იყო.

ამავე დროს კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა ეცემოდა და ახალი ეკონომიური კრიზისის ხანაში შედიოდა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა წინააღმდეგობანი როგორც პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ისე იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის. გაძლიერდა აგრესიული სახელმწიფოთა ცდები განეხორციელებინათ თავიანთი ვერაგული ზრახვები სსრ კავშირის მიმართ.

იმპერიალისტურმა დაზვერვებმა გააძლიერეს მსტოვართა შემოგზავნა ჩვენს ქვეყანაში, ყოვლისაირად ცდილობდნენ თავიანთი დანაშაულებრივი მიზნებისათვის გამოეყენებინათ ტროცკისტ-ზინოვიეველი ნაბოლარები. 1937 წელს გამოიკვეთა ახალი მონაცემები ბუხარინულ-ტროცკისტული ბანდის გარეწრებზე. ისინი ასრულებდნენ რა თავიანთ ბატონთა — უცხოეთის ბურჟუაზიულ დაზვერვათა ნებას, მიზნად ისახავდნენ დაენგრიათ პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, ძირი გამოეთხარათ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის, გაეადვილებინათ უცხოეთის ინტერვენცია, მოემზადებინათ საბჭოთა არმიის დამარცხება, სსრ კავშირის დანაწილება, გადაექციათ იგი იმპერიალიზმის კოლონიად, აღედგინათ სსრ კავშირში კაპიტალისტური მონობა.

ამხანაგმა სტალინმა დარაზმა პარტია და საბჭოთა ხალხი ტროცკისტ-ბუხარინელ და ბურჟუაზიულ ნაციონალისტ გამცემთა გველური ბუდეების სრული მოსპობისათვის.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ სასტიკად დაამარცხა სამშობლოს ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ ნაციონალისტი გამცემლები, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები, კაპიტალიზმის რესტავრატორები. პროლეტარიატის დიქტატურის უძლეველმა ხელმა ულმობლად მოსპო საბჭოთა ხალხის ეს უბოროტესი მტრები.

ბრძნული სტალინური ხელმძღვანელობის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში მეორე მსოფლიო ომის წინ ლიკვიდირებულ იქნა „მეხუთე კოლონა" და ამით კიდევ უფრო განმტკიცდა პარტიული რიგების ერთიანობა და მონოლითურობა, მთელი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

II

თავის მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა შეაჯამა იმ ხანგრძლივი ბრძოლის შედეგები, რომელსაც ბოლშევიკური პარტია ეწეოდა ტროცკისტ და სხვა თვალთმაქცთა და გამცემთა განადგურებისა და აღმოფხვრისათვის. აღნიშნა რა, რომ ბევრი პარტიული ამხანაგი ჯერ კიდევ იჩენდა პოლიტიკურ სიბეცესა და უდარდელობას, ამხანაგმა სტალინმა მკაფიოდ გვიჩვენა ამ მოვლენების მიზეზები, აღნიშნა საერთაშორისო და საშინაო ცხოვრების ის ფაქტორები, რომელთა დავიწყებაც წარმოშობს უდარდელობასა და სიბრმავეს კლასობრივი მტრების მიმართ.

საქმე ის არის, აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, რომ ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა, რომლებიც გატაცებული არიან სამეურნეო კამპანიებით და კოლოსალური წარმატებებით სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე, პირდაპირ დავიწყეს ზოგიერთი ტრადიციული მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელთა დავიწყების უფლება ბოლშევიკებს არა აქვთ. როგორც ამხანაგი სტალინი მოხსენებაში აღნიშნავდა, პოლიტიკური უდარდელობა წარმოშვა იმან, რომ სამეურნეო საქმეებთან გატაცებულმა ცალკეულმა პარტიულმა ხელმძღვანელებმა დაივიწყეს კაპიტალისტური გარემოცვის არსებობა.

კაპიტალისტური გარემოცვა, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, არ შეიძლება უბრალო გეოგრაფიულ ცნებად მივიჩნიოთ. ამხანაგი სტალინი ასწავლის პარტიას, საბჭოთა ხალხს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთ, რომ, სანამ არსებობენ აგრესიული იმპერიალისტური სახელმწიფოები, ისინი ყოველთვის შემოგზავნიან სოციალიზმის ბანაკში მავნებლებს, ჯაშუშებს, დივერსანტებს, მკვლელებს.

ბრძნულ სტალინურ მითითებას კაპიტალისტური გარემოცვის საშიშროების შესახებ ჩვენს დროს უდიდესი მამობილიზებელი მნიშვნელობა აქვს ყველა იმათთვის, ვინც მშვიდობისა და დემოკრატიისათვის იბრძვის. მეორე მსოფლიო ომის შედეგად კაპიტალისტურმა სამყარომ ახალი მძიმე დანაკლისი განიცადა—მას ჩამოშორდნენ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები, წარმოიშვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, აღმოსავლეთში საუკუნეობრივი უღელი მოიშორა დიდმა ჩინელმა ხალხმა, რომელიც ახალი ცხოვრების მშენებლობის გზას დაადგა. წარმოიშვა მძლავრი დემოკრატიული ბანაკი საბჭოთა კავშირის მეთაურობით. ამ ფაქტებმა სოციალიზმის სასარგებლოდ შეცვალა ძალთა საერთაშორისო განაწილება. მაგრამ კაპიტალისტურ ბანაკს კიდევ შეუძლია ბევრი უბედურება მოუტანოს მშრომელებს. ამიტომ ყველა მშრომელს მოეთხოვება უდიდესი სიმტკიცე და სიფხიზლე.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარება ცხადყოფს, რომ რაც უფრო იზრდება სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები, მით უფრო მატულობს იმპერიალისტთა გაჯიერება და გამხეცება. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეები აშკარად ამზადებენ ახალ მსოფლიო ომს მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ. ინგლისელ-ამერიკელმა იმპერიალისტებმა შეაკოწიწეს აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი, რომელიც მიმართულია სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ისინი ახორციელებენ დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაციას, ქმნიან აგრესიულ არმიებს.

ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები დაადგნენ სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ხალხის მტრების შეთქმულებითი, მავნებლური და დივერსიული საქმიანობისათვის აშკარა მხარდაჭერის გზას და ამ მიზნით უდიდეს სახსრებს გამოჰყოფენ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უბოდიშოდ გათელა საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ელემენტარული ნორმები და გასული წლის ოქტომბერში მიიღო ეგრეთწოდებული —1951 წლის კანონი „უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის შესახებ". ამ კანონით გათვალისწინებულია 100 მილიონი დოლარის ასიგნება სსრ კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული დივერსიების, ჯაშუშობის, ძირგამომთხრელი საქმიანობის მოსაწყობად.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში დამბრალი ექსპლოატატორული კლასები ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა დახმარების იმედით დივერსიებსა და მკვლელობას აწყობენ ამ ქვეყნების ტერიტორიაზე.

ამ პირობებში ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის მითითებებს იმის შესახებ, რომ მასები აღვზარდოთ ბოლშევიკური სიფხიზლის სულისკვეთებით. ბოლშევიკური სიფხიზლე დაეხმარა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს იმაში, რომ ეძიებინათ და გაეუნეტელებინათ ხალხის მტრების ბანდები: რაიკისა უნგრეთში, პატაშკანუსი რუმინეთში, შლინგისა, კლემენტისისა, სლანსკისა ჩეხოსლოვაკიაში, კოსტოვისა ბულგარეთში, კოჩი ძოლისი ალბანეთში, პოლონელი ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა პოლონეთის არმიაში და სხვებისა.

იმპერიალისტ შეთქმულთა განადგურება მოწმობს კომუნისტური და მუშათა პარტიების რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებას და წარმოადგენს მშვიდობის საქმის შესანიშნავ გამარჯვებას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გამარჯვებას.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან, ფხიზლად ადევნებენ თვალს ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი საზიზღარი აგენტურის ხრიკებს.

„ვაჩაღებთ რა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ხრიკები საერთაშორისო რეაქციისა, რომელიც გულში ატარებს ახალი ომის გეგმებს. საჭიროა გვახსოვდეს დიდი ლენინის მითითება, რომ, გადავდიოართ რა

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

შრომის მოწინავე მეთოდების პროპაგანდის კერა

ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის კვანძთან მოწყობილია ტექნიკური ბიბლიოთეკა. აღნიშნული ბიბლიოთეკა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს კვანძის ინჟინერ-ტექნიკოსთა და მუშათა შორის. იგი გადაქცეულია შრომის მოწინავე მეთოდების პროპაგანდის ნამდვილ კერად. ამ ბიბლიოთეკის გამოცდილებაზე მოუთხრობს თავის მკითხველებს გაზეთი **„ბატუმსკი რაბოჩი“**. ამას წინათ მემანქანე-ინსტრუქტორმა ვ. ჩიტიამ ტექნიკური ბიბლიოთეკის გამგეს ამხ. ვ. ბახტაძეს მიმართა თხოვნით:

„—დამეხმარეთ სოლოვიოვის მეთოდის შესახებ საუბრის მომზადებაში.

მას ურჩიეს ბროშურა „მემანქანე სოლოვიოვის მუშაობის გამოცდილება“. ამასთან მან გადაწყვიტა თან წაელო წიგნი „ავტომუბრუში“, რომელიც გამოფენილი იყო ახალი წიგნების ვიტრინაში.

ამხ. ვ. ჩიტია ბიბლიოთეკის ერთ-ერთი აქტივისტია. იგი რკინიგზელებთან ხშირად ატარებს საუბრებს ახალი ტექნიკური ლიტერატურის შესახებ“.

როგორც გაზეთი იუწყება, ბიბლიოთეკის აქტივისტები — ინჟინრები და ტექნიკოსები — დიდ მუშაობას ეწევიან ტექნიკური ცოდნის პროპაგანდის დარგში. მათ შორის არიან ბათუმის სამგზავრო სადგურის უფროსი გ. შენგელია, ვაგზლის უფროსი ი. კარბელაშვილი, გზის დისტანციის უფროსი მ. მიქაძე, მისი მოადგილე გ. ტიკარაძე, ლუნინელი მემანქანე ნ. დარჩია, საორთქლმავლო და სავაგონო დეპოს უფროსის მოადგილეები პ. ჩხიკვაძე, ვ. ხუხუნაიშვილი და სხვ.

„გასულ წელს, — წერს გაზეთი, — რკინიგზის ბათუმის კვანძის ტექნიკურმა ბიბლიოთეკამ საწარმოო უბნებზე თავის აქტივისტთა ძალებით მოაწყო ახალი ტექნიკური ლიტერატურის მასობრივი განხილვა 15-ჯერ, 60 საუბარი და პოპულარული ბროშურების ხმამაღალი კითხვა“.

ბიბლიოთეკაში ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე მოწყობილია ვიტრინა წარწერით: „შეისწავლეთ შრომის მოწინავე მეთოდები!“ ვიტრინაში გამოფენილ წიგნებსა და ბროშურებს შორის არის: „ინდუსტრიული კულტურის დეპო“ (მოსკოვის ოლქის ლიხობორის დეპოში ორთქლმავლების რემონტის გამოცდილების შესახებ), „შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა სადგურზე“, „მევაგონეთა საგარანტიო მარკა“, „მემანქანე-ხუთასოვანთა მოწინავე გამოცდილება“ და სხვ.

წერილში აღნიშნულია, რომ ბიბლიოთეკის ფონდში სამი ათასამდე წიგნი და ბროშურაა სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებზე, აგრეთვე პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკის აქტიურ აბონენტთა რიცხვი ას კაცს აღემატება. მათ შორის არიან: მემანქანის თანაშემწე ვ. სმელოვი, მემანქანე გ. ზვიადაძე, გზის დისტანციის ინჟინერი ნ. თავბერიძე, სავაგონო დეპოს ოსტატები ა. მახარაძე, ვ. ხალვაში და მრავალი სხვა. შარშან ბიბლიოთეკამ გასცა 8.350 წიგნი, ხოლო მიმდინარე წლის იანვარში — 640. წლის განმავლობაში მოაწყო ლიტერატურის გამოფენა ასჯერ. გაზეთი დასძენს:

„ბათუმელ რკინიგზელთა ბიბლიოთეკა კვანძზე მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის პროპაგანდის ცენტრი გახდა“.

კეთილმოწყობის საუბნო კომიტეტები

ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისში ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ქალაქების მაგალითისამებრ შექმნა ქალაქის კეთილმოწყობის საუბნო კომიტეტები. ამ კომიტეტებმა გაამართლეს დანიშნულება, მათ ხელი შეუწყეს ფოთის მოსახლეობის აქტიურად ჩაბმას მშობლიური ქალაქის შემდგომი გამშვენებისა და კეთილმოწყობის სამუშაოებში. კომიტეტების თაოსნობით წესრიგზე მოყვანილ იქნა და გალამაზდა ქალაქის მრავალი ქუჩა, ეზო, წყლის საწრეტი არხი და ტროტუარი.

ფოთის საქალაქო გაზეთი **„მგზნებარე კოლხიდელი“** თანმიმდევრობით აშუქებს კეთილმოწყობის საუბნო კომიტეტების მუშაობას, განაზოგადებს მოწინავე კომიტეტების გამოცდილებას და დაურიდებლად ამხილებს ზოგიერთი კომიტეტის სუსტ მუშაობას. ამ დღეებში გაზეთმა დაბეჭდა მოწინავე წერილი: „კეთილმოწყობის კომიტეტების მუშაობის გაუმჯობესებისათვის“. აღნიშნავს რა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოთა გაძლიერების აუცილებლობას, გაზეთი წერს:

„ახლოდება გაზაფხული. კარვი ამინდებიც დადგა. კეთილმოწყობის საუბნო კომიტეტებმა დაუყოვნებლივ უნდა გააცხოველონ მუშაობა, შეადგინონ თავიანთი სამოქმედო გეგმა უახლოესი თვეებისათვის და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით უზრუნველყონ ქუჩების, ტროტუარების, ეზოების, წყლის საწრეტი არხების შემდგომი კეთილმოწყობა. ამ საქმეში კეთილმოწყობის საუბნო კომიტეტებს აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა და მთელმა აქტივმა... საუბნო კომიტეტები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მშრომელთა მზარდ შემოქმედებითს ინიციატივას და აქტიურად ჩაბმან ისინი მშობლიური ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისა და გამშვენიერების საქმეში“.

კეთილმოწყობის საუბნო კომიტეტების შექმნა ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა საქალაქო მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის საქმეში. ფოთელთა მაგალითს სხვა საქალაქო საბჭოებმაც უნდა მიბაძონ.

ახალი წიგნები

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ამას წინათ მოსკოვში რუსულ ენაზე გამოსცა ლეო ქიაჩელის მოთხრობები, თარგმნილი ე. ოლოფერიძის მიერ. წიგნში შეტანილია სამი დიდი და ხუთი პატარა მოთხრობა. წიგნს დართული აქვს ლეო ქიაჩელის მოკლე ბიოგრაფია. წიგნი გამოცემულია 75.000 ცალი ტირაჟით, შეიცავს 573 გვერდს და ღირს 11 მანეთი.

„საბჭოთა მწერალი“ გამოსაცემად ამზადებს „რუსულ-ქართულ-ინგლისურ“, რომელიც ცალკე წიგნად არასოდეს არ ყოფილა გამოცემული. წიგნს დასაბეჭდად ამზადებენ ილია აბულაძე და ივანე გინგინეიშვილი.

წიგნის რედაქტორად გამოყოფილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი აკაკი შანიძე.

ჩვენ გვწერენ

ვაჭრობის წესები დაამახინჯეს

ამას წინათ „გლავმაშპრიბორსბიტის“ თბილისის საფირმო სპეციალიზებულმა მაღაზიამ (დირექტორი კ. ომეროვი) გასაყიდად მიიღო საკერავი მანქანები. მომხმარებლები მოელოდნენ, რომ მაღაზიის მუშაკები საჭირო ზომებს მიიღებდნენ წესიერი ვაჭრობისათვის, მაგრამ იმედი არ გამართლდა. მაღაზიასთან თავი მოიყარეს გადამყიდველებმა, რომელთაც უწესრიგობა შექმნეს. უწესრიგობასა და მომხმარებლებში უკმაყოფილებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ გამყიდველებმა მანქანების მისაღები ჩეკები წინასწარ მისცეს ნაცნობებს.

მაღაზიის სექციის გამგემ ნ. კიკნაძემ დაამახინჯა ვაჭრობის წესები და მანქანის თვითეულ მყიდველს ზედმეტად გადაახდევინა ოც-ოცი მანეთი.

ეს ფაქტი ყურადღების ღირსია. თბილისის საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილებამ აქედან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთოს.

ჰ. ფერაძე

უყურადღებობის შედეგი

ახალციხის საქალაქო საბჭოს აღმასკომი მოთავსებულია ორსართულიან შენობაში. რამდენიმე წელია შენობის სახურავი სერიოზულ რემონტს მოითხოვს. წვიმიან ამინდში წყალი სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისა და დამზადებათა სარწმუნებულის ოთახებში ჩადის, რაც მუშაობას აფერხებს. ზიანდება შენობის კედლები, აგრეთვე კარადები და საკანცელარიო დოკუმენტები.

ეს მდგომარეობა იციან საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ნუცუბიძემ და კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგემ რ. ჩომახიძემ, ამაზე იმსჯელა რაისაბჭოს სესიამაც. ისინი შენობის გადახურვას „წვრილმან“ და ადვილად შესასრულებელ საქმედ თვლიან. მიუხედავად ამისა, საქალაქო საბჭოს შენობის სახურავი კვლავ შეუკეთებელია.

ს. დურგლიშვილი

გამოუქვეყნებელი წერილების

კვადრაკვად

დამნაშავენი მოხსნილი არიან სამუშაოდან

— ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკის სასადილოში მუშაობა მოუწესრიგებელია, არის უსუფთაობა, სასადილოს გამგე კ. აფხაზავა ეწევა უფაქტურო საქონლით ვაჭრობას, მზარეული გ. სუთიძე კერძებს უხარისხოდ ამზადებს — გვწერდა სოფლკორი.

წერილი შესამოწმებლად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნა ჩხოროწყუს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს, როგორც რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შ. ხუნტუა გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. სასადილოს გამგე კ. აფხაზავა და მზარეული გ. სუთიძე მოხსნილი არიან სამუშაოდან. სასადილოს მუშაობის გასაუმჯობესებლად დასახულია სათანადო ღონისძიებანი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ეროვნული

წიგნი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ

სერგი ჭილაიას წიგნი „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“ წარმოადგენს ქართული ლექსის შესანიშნავი ოსტატის — გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მონოგრაფიული განხილვის ცდას. ამ წიგნის გამოცემა მით უფრო მისასალმებელია, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს მონოგრაფიული გამოკვლევები, რომლებშიც ასახული იქნებოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის გამოჩენილი ოსტატების შემოქმედებითი გზა.

გალაკტიონ ტაბიძე დიდი, დამოუკიდებელი პოეტური ხმის შემოქმედია. დიდია მისი დამსახურება ქართული პოეზიის წინაშე. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ქართველ საბჭოთა მწერლებს შორის პირველი მონოგრაფია მიეძღვნა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების განხილვას. სერგი ჭილაიას წინაშე იდგა ფრიად ძნელი ამოცანა — ეჩვენებინა ის მეტად დიდი და რთული შემოქმედებითი გზა, რომელიც განვლო გალაკტიონ ტაბიძემ.

სარეცენზიო წიგნის ავტორს სასარგებლო მუშაობა შეუსრულებია სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მოჰკიდებია საქმეს და მის წინაშე დასმული ამოცანა ძირითადად გადაუწყვეტია, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, ავტორს ზოგიერთი მომენტი მხედველობიდან გამორჩენია პოეტის შემოქმედების განხილვისას, მთელი რიგი საკითხები კი უფრო ფართო გაშუქებას საჭიროებდა, ვიდრე წიგნშია მოცემული.

წიგნში მოკლედ მოცემულია გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიული ცნობები, განხილულია პოეტის მსოფლმხედველობა, „გ. ტაბიძის დამოკიდებულება 1905 წლის რევოლუციასთან“, „გ. ტაბიძის შემოქმედება რეაქციისა და მსოფლიო ომის პერიოდში. სიმბოლიზმი“; „გ. ტაბიძის დამოკიდებულება XIX საუკუნის ქართულ პოეზიასთან“, „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და გ. ტაბიძე“, „გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა“; „გ. ტაბიძის პოეტური სტილის ზოგიერთი მხარე“. განხილული საკითხების ჩამოთვლაც კი გვიჩვენებს, რომ ავტორს არ გაუთვალისწინებია მთელი რიგი მომენტები, მაგალითად: გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება ნაჩვენები არ არის საბჭოთა ხალხების ლიტერატურასთან, კერძოდ ქართულ საბჭოთა ლიტერატურასთან კავშირში, რომლის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელიც ის არის. მოცემული არ არის ტაბიძის პოეზიის ენობრივი ანალიზი, პოეტის შემოქმედების შესახებ დაწერილი კრიტიკული ლიტერატურის მიმოხილვა და სხვ.

ავტორს სწორად და კარგად აქვს ნაჩვენები პოეტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესი, იგი მართებულად აღნიშნავს, რომ „მხოლოდ ახალ, საბჭოთა ეპოქაში ჰპოვა გ. ტაბიძის პოეზიამ სრული გაშლისა და განვითარების შესაძლებლობა“ (გვ. 8).

ავტორი სამართლიანად მაღალ შეფასებას აძლევს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას: „პირდაპირ უნდა ითქვას, — წერს იგი, — რომ გალაკტიონ ტაბიძემ თავისი მაღალი ლირიკით ახალი ეტერა მისცა ქართულ ლექსს, ახალი მელევარებითა და განცდებით გაამდიდრა იგი, ახალი პოეტური ალით გაანათა ჩვენი ლიტერატურა“ (გვ. 3). სამწუხაროდ, ეს განცხადება წიგნში სათანადო დასაბუთებას ვერ პოულობს, ნაცვლად იმისა, რომ განეხილა გ. ტაბიძის მხატვრული ნაწარმოებები შინაარსისა და ფორმის ერთიანობის თვალსაზრისით და მოეცა ამ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი, სერგი ჭილაია მეტწილად კმაყოფილდება ლექსების შინაარსის გადმოცემით (გვ. 11, 12, 13, 14, 15, 16, 21 და სხვ.). მართალია, წიგნის ცალკე თავში ავტორი განიხილავს გ. ტაბიძის პოეტური სტილის ზოგიერთ მხარეს, მაგრამ ამას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია შეცვალოს ტაბიძის პოეზიის იდეურ-მხატვრული ანალიზი. „...მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა“. ეს სიტყვები გალაკტიონ ტაბიძეს ეკუთვნის. საჭირო იყო ნათლად ეჩვენებინა სერგი ჭილაიას ის ახალი ფორმა, ის ახალი სიტყვა, რომლითაც გალაკტიონ ტაბიძე უმღერის ჩვენს დიდებულ სინამდვილეს.

გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელი შემოქმედების ანალიზით მკვლევარს გამოჰყავს შემდეგი მართებული დასკვნა: „...გ. ტაბიძის ოქტომბრის რევოლუციამდელი პოეზია სიმბოლიზმის ჩარჩოში ვერ თავსდება. ამ პერიოდის შემოქმედებას, როგორც მისი ცოზიის სალი მარცვალი, თან გასდევს ცხოვრების, ბრძოლისა და რწმენის განწყობილება“ (გვ. 13). „გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ პოეზიას სევდის, მწუხარების განწყობილებასთან ერთად მომავლის ღრმა რწმენაც ასაზრდოებდა“ (გვ. 17). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორს სიმბოლიზმის პრინციპების გადმოცემისათვის დათმობილი აქვს დიდი ადგილი, რაც საჭირო არ იყო. წიგნი მოიგებდა, რომ ავტორს, ამის ნაცვლად, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ენობრივი ანალიზი მოეცა.

სერგი ჭილაია მართებულად აღნიშნავს, რომ „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია თავისი ნაციონალური საწყისებით ქართულ კლასიკურ ცოზიას უკავშირდება“ (გვ. 34). ამ დებულების დასამტკიცებლად, ჩანს, მას განუზრახავს ეჩვენებინა ის გავლენა, რომელიც ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და განსაკუთრებით ნ. ბარათაშვილის შემოქმედებამ მოახდინა გალაკტიონ ტაბიძეზე. ამ მიზნით სერგი ჭილაია ეძებს „პარალელებსა“ და „შეხვედრებს“ ნ. ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს შორის. ავტორი ითვალისწინებს, რომ „ისტორიული პარალელები ყოველთვის სახიფათოა“ (ი. ბ. სტალინი) და მკითხველს აფრთხილებს: „ხ. ბარათაშვილსა და გ. ტაბიძეს მთელი საუკუნე აშორებს ერთიმეორისაგან. ცირველი XIX საუკუნის გარიჟრაჟს ამოჰყვა, მეორე კი XX საუკუნის განთიადზე დაიბადა როგორც პოეტი. ეს განსხვავებული ეპოქები და მათი ინტერესები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როდესაც ბარათაშვილისა და ტაბიძის საერთო ნათესაობაზე ვლაპარაკობთ“ (გვ. 45). წიგნის ის ადგილი, სადაც ბარათაშვილის და ტაბიძის საერთო ნათესაობაზეა ლაპარაკი, გარკვეულ ინტერესს იწვევს, მაგრამ, ჯერ-ერთი, ის ზომაზე მეტად გაჭიანურებულია (წიგნის ერთი მეოთხედი უჭირავს, გვ. 44-66) და, მეორეც, ავტორის მიერ მოყვანილი „შეხვედრები“ და „პარალელები“ ბარათაშვილისა და ტაბიძის ცოზიას შორის ცალმხრივ სურათს იძლევა ტაბიძის დამოკიდებულებაზე ბარათაშვილის პოეზიასთან. მართალია, სერგი ჭილაია აბობს, რომ გალაკტიონ ტაბიძემ განიცადა ბარათაშვილის გავლენა „ისე, რომ სრული დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, როგორც ეს ორიგინალურ ნიჭიერ მხატვარს ჩვეია“ (გვ. 46), მაგრამ ავტორის ეს განცხადება არ გამომდინარეობს მის მიერ მოყვანილი მაგალითებიდან, რომლებსაც მკითხველი სრულიად საწინააღმდეგო დასკვნამდე მიჰყავს.

ნ. ბარათაშვილისა და გ. ტაბიძის პოეზიას შორის ზოგიერთი „პარალელისა“ და „შეხვედრის“ ჩვენება არ არის ინტერესს მოკლებული, მაგრამ გ. ტაბიძის დამოკიდებულება XIX საუკუნის ქართულ პოეზიასთან, კერძოდ ნ. ბარათაშვილის ცოზიასთან აუცილებლად უნდა განსაზღვრულიყო გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საერთო მიმართულებით და არა ცალკეული, კერძო მხარეებით. ამ გზით ავტორი უფრო კარგად და დამაჯერებლად აჩვენებდა იმ ორგანულ კავშირს, რომელიც არსებობს ქართულ კლასიკურ პოეზიასა და გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას შორის და მკითხველიც უფრო ნათლად დაინახავდა გალაკტიონ ტაბიძეს, როგორც დამოუკიდებელ, ნიჭიერ მხატვარს.

წიგნი „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“ გამართული ენით არის დაწერილი და ინტერესით იკითხება, თუმცა, უნდა ითქვას, ზოგიერთი გრამატიკული შეცდომა და სტილისტურად გაუმართავი წინადადებაც გვხვდება: „მთავრობის უდღეური ბატონობის დღეებში...“ (გვ. 7), „მათ გველურ ბუნებას, კლასობრივ ნიღაბს კარგად ამხელს პოეტი“ (გვ. 76), „პოეტი უნდა შეეცადოს ყოველმხრივ გააფართოვოს თავის თავის ცოდნა“ (გვ. 25) და სხვ. ავტორს, ცხადია, შეეძლო ამ შეცდომების თავიდან აცილება.

ს. ჭილაიას სარეცენზიო წიგნს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში.

ვ. მელაძე

მშვიდობიან შრომაზე, მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა და თავდაცვისუნარიანობას“ (ბრძანება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა № 7, 1946 წ. 1 მაისი).

ბოლშევიკების პარტია განუწყვეტლივ ზრდის ჩვენს ხალხს, საბჭოთა ახალგაზრდობას ბოლშევიკური სიფხიზლის სულისკვეთებით. ბოლშევიკური სიფხიზლე თვითეული საბჭოთა პატრიოტის ფასდაუდებელი თვისებაა. სიფხიზლე საბჭოთა ადამიანების ქცევის ნორმა უნდა იყოს წარმოებაში და ყოფაცხოვრებაში. თვითეული მშრომელის მოქალაქეობრივი მოვალეობაა წმიდად იცავდეს სახელმწიფო და საწარმოო საიდუმლოებას. საბჭოთა ადამიანები უნდა იყონ ფხიზელნი და შეურიგებელნი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, კოსმოპოლიტიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინებისადმი, ჩვენი სამშობლოს ყველა ჯურის მტრების ხრიკებისადმი.

ბოლშევიკური სიფხიზლის გაძლიერება პარტიული ორგანიზაციების დიდ-მნიშვნელოვანი ამოცანაა.

III

მოხსენებასა და საბოლოო სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა მხიერებულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით განსაზღვრა შინაპარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები. საჭიროა, ამბობდა ამხანაგი სტალინი, ჯეროვან სიმაღლეზე ავიყვანოთ ჩვენი პარტიის პოლიტიკური მუშაობა, მთავარი ყურადღება მივაქციოთ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების პოლიტიკური განათლებისა და ბოლშევიკური გამოწრთობის ამოცანას.

ამხანაგმა სტალინმა მიგვითითა, რომ საჭიროა უნარიანად შევახამოთ სამეურნეო მუშაობა, სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესასრულებლად წარმოებული მუშაობა პოლიტიკურ მუშაობასთან მასებში. სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობის სწორი შეხამებით მივაღწევთ ახალ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის დარგში.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ ჩრდილოვანი მხარეები, რომლებიც დაკავშირებულია სამეურნეო წარმატებებთან და რომლებიც გამოიხატება თვითკმაყოფილებით, უდარდელობით, პოლიტიკური ალღოს დაჩლუნგებით, შეიძლება ლიკვიდირებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო წარმატებანი თან ერთვის პარტიული მშენებლობისა და ჩვენი პარტიის გაშლილი პოლიტიკური მუშაობის წარმატებებს.

ამხანაგ სტალინის მითითებას სამეურნეო და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უნარიანად შეხამების საჭიროების შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის მუშაობისათვის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის. სამეურნეო ორგანოების ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდი, განმარტავს ამხანაგი სტალინი, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ „ვუხელმძღვანელოთ მეურნეობას არა ამ ორგანოების გვერდის ავლით, არამედ მათი საშუალებით“ (გვ. 47). სწორად არ იქცევიან ის ამხანაგებიც, რომლებიც ერთმანეთს აშორებენ მეურნეობისა და პოლიტიკას და უპირატესად მიმართავენ საკითხის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, ვინაიდან „პრაქტიკულად პოლიტიკა და მეურნეობა განუყრელი არიან“ (გვ. 46).

გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში პარტიული მუშაობის ზოგადი ამოცანების ეს კლასიკური განსაზღვრა გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია ბოლშევიკური პარტიის მთელ მრავალფეროვან მუშაობაში.

ომისშემდგომ წლებში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს თავის დადგენილებებში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საჭიროა სამეურნეო ხელმძღვანელობის საკითხების უნარიანად შეხამება მასებში გაშლილ პოლიტიკურ მუშაობასთან.

თავის გამოსვლებში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა სტალინმა დასახა და მეცნიერულად დაასაბუთა, როგორც პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების იდეურ-თეორიული დონის გადაჭრით ამაღლების ამოცანა.

„მე ვფიქრობ,—ამბობს იგი,—...ჩვენ რომ მოვახერხებდეთ ჩვენი პარტიული კადრები, თავიდან ბოლომდე, იდეოლოგიურად მოეამზადოთ და იმგვარად გამოვაწრთოთ ისინი პოლიტიკურად, რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად გარკვევა საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, ჩვენ რომ შევძლებდეთ გავხადოთ ისინი სავსებით მომწიფებულ ლენინელებად, მარქსისტებად, რომლებსაც უნარი ექნებათ სერიოზული შეცდომების ჩაუდენლად გადაჭრან ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, ამით გადავჭრიდით ყველა ჩვენი ამოცანის ცხრა მეათედს“ (გვ. 39).

ამხანაგ სტალინის ამ გენიალურ მითითებათა შესასრულებლად ბოლშევიკურმა პარტიამ უდიდესი მუშაობა გასწია ხელმძღვანელი კადრების იდეური მგამოწრთობის დარგში, აიარაღებდა მათ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმა ცოდნით.

საბოლოო სიტყვაში ამხანაგი სტალინი უდიდეს ყურადღებას აქცევს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის საკითხებს.

ამხანაგმა სტალინმა თავის გამოსვლაში მიგვითითა,რომ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმე კადრებისაგან მოითხოვს პოლიტიკურ და იდეურ წრთობას, ღრმა ყოველმხრივ ცოდნას, მუშაობის გამოცდილებას. თუ საქმე არ ვიცით, ხელმძღვანელობას ვერ გავწევთ. ჩინი თავისთავად, ხაზგასმით აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, არ იძლევა ცოდნასა და გამოცდილებას. სახელწოდება — მით უმეტეს.

კომუნისტური მშენებლობის საქმის წარმატებით ხელმძღვანელობისათვის საკმარისი არ არის მარტო ხელმძღვანელთა გამოცდილება. ხელმძღვანელთა გამოცდილებას მუდამ უნდა ემატებოდეს მასების, კომუნისტების გამოცდილება, მთელი საბჭოთა ხალხის გამოცდილება.

„სწორად ხელმძღვანელობა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — ნიშნავს: ჯერ-ერთი, გამოვნახოთ საკითხის სწორი გადაწყვეტა, ხოლო სწორი გადაწყვეტის გამონახვა შეუძლებელია მასების გამოცდილების გაუთვალისწინებლად, რომლებიც თავიანთ საკუთარ ზურგზე განიცდიან ჩვენი ხელმძღვანელობის შედეგებს;

მეორე, მოვაწყოთ სწორი გადაწყვეტილების შესრულება, რისი გაკეთებაც, ამავე დროს, შეუძლებელია მასების მხრივ პირდაპირი დახმარების გარეშე;

მესამე, მოვაწყოთ ამ გადაწყვეტილების შესრულების შემოწმება, რისი გაკეთებაც ისევ შეუძლებელია მასების პირდაპირი დახმარების გარეშე“ (გვ. 58).

ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამ მითითებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლებისათვის ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის პირობებში.

მოხსენებაში ამხანაგი სტალინი აყალიბებს მეცნიერულ პრინციპებს კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში, აღნიშნავს, რომ საჭიროა ერთმანეთთან შევახამოთ პოლიტიკური პრინციპი და საქმიანი პრინციპი, კადრების განაწილებისას არ დავუშვათ ნათლიმამობა, რაც კრიტიკას და თვითკრიტიკას გამორიცხავს. ამხანაგი სტალინი მოითხოვს ვამოწმებდეთ მუშაკებს არა მათი დაპირებებისა და დეკლარაციების მიხედვით, არამედ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით.

ამხანაგმა სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა ის პარტიული მუშაკები, რომლებიც გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, რომ კადრების შემოწმება შეიძლება მხოლოდ ზემოდან, როცა ხელმძღვანელნი ხელმძღვანელობის გასაწევთ ამოწმებენ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით. ამხანაგმა სტალინმა მიგვითითა, რომ არსებობს სხვაგვარი შემოწმებაც, ქვემოდან შემოწმება, როცა მასები ამოწმებენ თავიანთ ხელმძღვანელებს, აღნიშნავენ მათს შეცდომებს, სახავენ ამ შეცდომათა გამოსწორების გზებს. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, ამოცანა ის არის, რომ ზემოდან შემოწმება ქვემოდან შემოწმებას შეეუღერთოთო.

„ჩვენ, ხელმძღვანელები, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს ვხედავთ მხოლოდ ერთი მხრით, მე ვიტყოდი—ზემოდან, ჩვენი მხედველობის არე, მაშასადამე, ცოტად თუ ბევრად შეზღუდულია. მასები, პირიქით, საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს ხედავენ მეორე მხრით, მე ვიტყოდი—ქვემოდან, მათი მხედველობის არეც, მაშასადამე, ერთგვარად შეზღუდულია. საკითხის სწორი გადაჭრა რომ მივიღოთ, საჭიროა გავაერთიანოთ ეს ორი გამოცდილება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ხელმძღვანელობა სწორი“ (გვ. 58-59).

ამ შეცდომების მაგალითზე, რომლებსაც ცალკეული მუშაკები პარტიული და სამეურნეო მშენებლობის საკითხებში უშვებდნენ, ამხანაგმა სტალინმა მოხსენებაში გაშალა ბოლშევიკური კადრების აღზრდის ფართო პროგრამა და აღნიშნავდა, რომ „მხოლოდ აშკარა და პატიოსანი თვითკრიტიკის პირობებში შეიძლება აღვზარდოთ ნამდვილად ბოლშევიკური კადრები, შეიძლება აღვზარდოთ ნამდვილი ბოლშევიკური ლიდერები“ (გვ. 54).

ამხანაგი სტალინი ჩვენს კადრებს ასწავლის არ მოიხიბლონ მიღწეული წარმატებებით, მუდამ მომთხოვნელნი იყვნენ საკუთარი თავისადმი. სოციალისტური მშენებლობის დარგში მიღწეულ დიდ და სერიოზულ წარმატებათა ვითარებაში, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, იქმნება ბაქიობის განწყობილება, ჩვენი წარმატებების პარადული მანიფესტაციის განწყობილება, ჩვენი მტრების ძალთა შეუფასებლობის განწყობილება, საკუთარ ძალთა გადაჭარბებით შეფასების განწყობილება და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, ჩნდება პოლიტიკური სიბრმავე.

ბოლშევიკების პარტია ჩვენს კადრებს ასწავლის გაბედულად ამხილონ თავიანთი მუშაობის ნაკლოვანებანი. პარტია ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვს გაბედული ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, კრიტიკა და თვითკრიტიკა მიაჩნია მუშაობის ნაკლოვანებათა გამოსწორების დიდმნიშვნელოვან საშუალებად, მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრ საშუალებად.

თავის გამოსვლაში ამხანაგმა სტალინმა მთელი ძალით გაუსვა ხაზი კადრებისადმი, ადამიანებისადმი გულისხმიერი, ყურადღებიანი დამოკიდებულების საჭიროებას. ჩვენი საზოგადოება გადაჭრით უნდა გმობდეს უსულგულო დამოკიდებულებას საბჭოთა ადამიანების — კომუნიზმის აქტიური მშენებლების საჭიროებისა და მოთხოვნილებებისადმი.

მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ბოლშევიკური პარტიის როგორც ახალი ტიპის პარტიის, ლენინიზმის პარტიის ძალა იმაშია მდგომარეობს, რომ განუყრელია მისი კავშირი მასებთან. პარტია არა მარტო ასწავლის მასებს, არამედ თვითონაც სწავლობს მასებისაგან. მასებთან განუყრელი კავშირი, ამ კავშირის განმტკიცება, ხალხის ხმისათვის ყურის დასაგდებად მუდამ მზადყოფნა კომუნისტური პარტიის ძალას შეადგენს.

„ვფიქრობ, — ამბობდა ამხანაგი სტალინი,—რომ ბოლშევიკები მოგვაგონებენ ბერძნული მითოლოგიის გმირს, ანთეოსს. ისინიც, ისევე, როგორც ანთეოსი, ძლიერნი არიან იმით, რომ კავშირი აქვ

საერთაშორისო თემაზე

აგრესორთა შეთქმულება ლისაბონში

20-25 თებერვალს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში გაიმართა ევრეთწოდებული ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს მორიგი სესია. სესიის დღის წესრიგში იყო 8 საკითხი, მაგრამ დასავლეთის მთელი რეაქციული პრესა აღიარებს, რომ სესია არსებითად მოწვეული იყო ამითგან ორი საკითხის განსახილველად პირველი ეხებოდა „ევროპის არმიის“ შექმნას გერმანელთა სამხედრო ნაწილების მონაწილეობით და ამ არმიასა და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირს შორის ურთიერთობის დამყარებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, სესიაზე საქმე ეხებოდა ატლანტიკის აგრესიულ ბლოკში დასავლეთ გერმანიის ფაქტიურად შეყვანას, მეორე საკითხი იყო იმ ხარჯების განაწილება, რომლებიც დაკავშირებულია შემდგომ გამალებულ შეიარაღებასთან.

ეს საკითხები პირველად როდის დასმული ატლანტიკის აგრესორთა კრებებზე. ამ საკითხებს უმეტეს ოდენ განიხილავდნენ უკვე ოტავისა და რომის სესიებზე. დასავლეთ ევროპის მარშალიზებული მთავრობები, რარიგაც უნდა მლეკვნელობდნენ ვაშინგტონის წინაშე, ეარ ამბობდნენ ეკისრნთ ახალი სამხედრო ხარჯები და ცდილობდნენ თავი მოერიდებინათ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის საკითხის გადაჭრისათვის.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობათა ასეთი პოზიცია უწინარეს ყოვლისა აიხსნება იმ წინააღმდეგობით, რასაც ამ ქვეყნების ხალხები უწევენ გერმანიის არმიის აღორძინებისა და შემდგომი გამალებული შეიარაღების გეგმებს. თუ დასავლეთის ქვეყნების ხალხებს მილიტარიზაცია მიაჩნია თავიანთი მზარდი სიღატაკის მთავარ მიზეზად, გერმანიის ფაშისტური არმიის შექმნის ისინი თვლიან მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების პირდაპირ საფრთხედ.

ის ფაქტი, რომ ოტავისა და რომის სესიებმა ვერ ვადაჭრეს გერმანიის შეიარაღებული ძალების შექმნისა და ატლანტიკის ბლოკის მონაწილე ქვეყნებს შორის სამხედრო ხარჯების განაწილების საკითხი, უცხოთის მთელმა პრესამ შეაფასა როგორც ევროპაში ამერიკის პოლიტიკის ჩაშლა. უცხოთის პრესა ფიქრობს, რომ ვაშინგტონის დიპლომატიურმა მარცხმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოახლოებულ არჩევნებზე. ამერიკელი მეჭიანურეები და მილიონერები თეთრ სახლსა და კონგრესში თავიანთი აგენტებისაგან მოითხოვენ „რეალურ მიღწევებს“ ომისათვის დასავლეთევროპელი სატელიტების მზადებაში, რაც, მათი აზრით, ძირითადად თვით დასავლეთ ევროპის ხარჯზე უნდა წარმოებდეს. ამ პირობებში ტრუმენის მთავრობას, ბუნებრივია, ესაჭიროებოდა ცხადეყო დასავლეთში თავისი პოლიტიკის რაობე „წარმატება“.

როგორც ცნობილია, სესიის მონაწილეებმა ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით მოიწონეს „ევროპის არმიის“ შექმნის გეგმა გერმანელთა სამხედრო ნაწილების მონაწილეობით. ამით ისინი ხელ-ფეხს უხსნიან დასავლეთ-გერმანელ რევანშისტებს ევრმატის აღორძინების საქმეში.

შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა თავიანთ უმცროს პარტნიორებს თავს მოახვიეს გადაწყვეტილება, რომელიც ადგილებს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში დასავლეთ გერმანიის შეყვანას ეს შეყვანა უნდა განხორციელდეს არა პირდაპირი, არამედ შემოვლითი გზით; რაკი დასავლეთი გერმანია „ევროპის არმიის“ მონაწილეა, ეგი ფაქტიურად გახდება ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის წევრი.

ამერიკის პრესამ განსაკუთრებით დიდი ხმაური ატეხა სამი უახლესი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ სესიის გადაწყვეტილების გარშემო. ეს გადაწყვეტილება, კერძოდ, ითვალისწინებს, რომ 1952 წლის დამლევს ეიზენჰაუერის სარდლობაში იქნება 50 დივიზია. სესიაზე დამტკიცებულ იქნა ოვრეთვე სამწლიანი სამხედრო პროგრამის განხორციელების ხარჯები, ამასთან, როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ თუწყება, შეერთებულმა შტატებმა მოიაზრეს ამ ხარჯების ძირითადი ტვირთი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის დაეკისრებინათ.

ლისაბონის სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ისინი წარმოადგენენ არა შეთანხმებული მოქმედების, არამედ ამერიკის ეხეში დიქტატის შედეგს. ამასთან ერთად ეს გადაწყვეტილებანი ცხადყოფენ, რომ აგრესორები ისწრაფვიან რაც შეიძლება უფრო ფართოდ და მალე გააჩაღონ მზადება ახალი მსოფლიო ომისათვის და რომ იმპერიალისტთა შინაგანი წინააღმდეგობანი სულ უფრო მწვავე ხდება. ატლანტიკი გაზეთი „რომა“ ლისაბონში სესიის გახსნის დღეს წერდა: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნათლად აგრძნობინეს დასავლეთ ევროპის ქვეყნების მმართველებს, რომ, თუ ისინი ვერ შეთანხმდებიან გერმანიის შეიარაღების შესახებ, მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები თვითონ გადაჭრიან ამ საკითხს

აჩესონის ჯოხით მიღებული გადაწყვეტილებანი, რა თქმა უნდა, ვერ აღმოფხვრიდნენ იმ წინააღმდეგობას, რომელიც ატლანტიკის ბლოკის მონაწილეებს ხელს უშლიდა ჯერ კიდევ სესიის წინ მიეღწიათ შეთანხმებისათვის ევროპის არმიაში დასავლეთ გერმანიის მონაწილეობის საკითხზე.

თუ მართლაც რამდენად გაიხლართნენ დასავლეთის დიპლომატები თავიანთ წინააღმდეგობებში, ამას აშკარად მოწმობს ასეთი ფაქტი. საფრანგეთისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მმართველმა წრეებმა მოითხოვეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, „ევროპის დაჯავშეფებაში“ დასავლეთ გერმანიის დაშვების შესახებ, ამ ქვეყნების თანხმობის ნაცვლად, მათთვის მიეცათ გარანტიები იმ შემთხვევისათვის თუ ეს საშში „მოკავშირე“ უეცრად დაეხმის თავს „ევროპის არმიის“ მონაწილეებს.

ჯუნკერების კანონი, რომელსაც კაპიტალისტური საზოგადოება ემყარება, საფუძველად უდევს აგრესორთა ახალგამომცხვარ კავშირს, რომელიც მზად არიან ყელი გამოიღრონ ერთმანეთს.

სრულიად სასოწარკვეთილი ხასიათი აქვს დასავლეთ ევროპის გაზეთების კომენტარებს სესიის საფინანსო გადაწყვეტილებათა შესახებ. ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ აცხადებს, რომ „საფინანსო დაპირებანი, რომლებიც 14 სახელმწიფომ ლისაბონში ერთმანეთს მისცა, ბუნდოვანია“. „ტა